თანაკლუბელთა მატჩი
“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

ლესელიძე. (ჩვენი სპეც. კორ.). გასულ კვირას, 20 მარტს ლესელიძის სტადიონი რამდენიმე მწკრივად იყო შემოფარგლული ავტობუსებით, სატვირთო მანქანებით, “პობედებით”, “მოსკვიჩებით”. თვლა არ ჰქონდა მოტოციკლებსა და ველოსიპედებს. მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” თანაკლუბელთა ამხანაგურ მატჩზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ სოხუმიდან, სოჭიდან, ხოსტიდან, გუდაუთიდან, გაგრიდან. აქ იყვნენ დამსვენებლები, ადგილობრივი მოსახლეობა, აგრეთვე “ა” და “ბ” კლასის ოსტატთა რამდენიმე კოლექტივი.

დღის 3 საათზე გუნდები გამოვიდნენ მოედანზე. მოსკოველთა შორის იყვნენ: ბელიაევი, როდიონოვი, კრიჟევსკი, იურჩენკო, ბაიკოვი, სავდუნინი, ვოლოდინი, ფედოსოვი, მამედოვი, ილინი, შეპოვალოვი. თბილისის “დინამოს” სახელს იცავდნენ: მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, მახარაძე, დავარაშვილი, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, იამანიძე. თამაშს სჯიდა ვ. კლავსი (რიგა).

დაიწყო თამაში თუ არა, კრიჟევსკიმ ტექნიკური შეცდომა დაუშვა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა კალოევმა, იგი კართან ახლოს გავიდა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ააცდინა კარს. ცოტა ხანში კოტრიკაძე მოედნის სიღრმეში შევიდა და თავის ფლანგზე გადააწოდა მარჯვნივ გადანაცვლებულ კალოევს, ამ უკანასკნელის გადაცემა თავით მიიღო ღოღობერიძემ, მაგრამ ბურთი მოხვდა ზედა ძელს. წუთის შემდეგ განმეორდა ანალოგიური კომბინაცია, რომელშიც მახარაძეც იღებდა მონაწილეობას. ღოღობერიძის მიერ დარტყმული ბურთი ამჯერად აიღო ბელიაევმა.

პირველი 5 წუთის განმავლობაში მოსკოველთა კარი სამჯერ იყო ხიფათის წინაშე, მაგრამ უკვე მე–6 წუთზე მათი თავდამსხმელები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ფედოსოვმა, ხოლო შემდეგ სავდუნინმა ოდნავ გადააცილეს ბურთი კარს ზემოდან.

ორივე გუნდმა თავიდანვე მეტად მაღალი ტემპი აიღო. თბილისელები მოედნის მთელ სიგანეზე იყვნენ გაშლილი. ბურთი თავდამსხმელთა შორის შეუჩერებლად, გეგმის მიხედვით მოძრაობდა. აქტიურად თამაშობდა ცენტრალური სამეული, სადაც მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში გამოირჩეოდა კალოევი. კარგად ასრულებდნენ თავის ფუნქციებს ნახევარმცველები.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ თამაშში, მეტად სახიფათო იყო მოსკოვის გუნდის თავდამსხმელთა იერიშები. ისინი დაბალი, გრძელი გადაცემებით და ადგილების ხშირი ცვლით 2–3 სვლაში გადიოდნენ მოედნის შუაგულს და სოლივით იჭრებოდნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში. ძლიერად თამაშობდნენ ილინი და მამედოვი. ეს უკანასკნელი მატჩის დასაწყისში რამდენჯერმე სახიფათოდ გაიჭრა თბილისელთა კართან, მაგრამ შემდგომში იგი საფუძვლიანად ჩაკეტა ძიაპშპამ და მამედოვი იძულებული იყო მოედნის სიღრმეში დაეხია. ტაიმის დასასრულამდე მარღანიამ ორჯერ აიღო ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთები.

შესვენების შემდეგ მოსკოველებმა რამდენიმე ზუსტი კომბინაცია განახორციელეს და თავდამსხმელებმა ნახევარმცველთა აქტიური დახმარებით თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს. მე–60 წუთზე მამედოვი მარცხენა ფრთიდან გაიჭრა კართან და ელოშვილთან ბრძოლაში საჯარიმო მოედანზე წაიქცა. 11–მეტრიანი საჯარიმო ილინმა ძლიერად დაარტყა. ანგარიში გაიხსნა – 1:0.

68–ე წუთზე კოტრიკაძემ მარჯვნივ გადააწოდა ბურთი კალოევს, რომელმაც იგი კარის გასწვრივ ჩააწოდა. აქ თავისუფალ ადგილზე გავიდა ღოღობერიძე და თავით მშვიდად და ზუსტად გაიტანა საპასუხო გოლი – 1:1. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად თბილისელთა მხარეს გადავიდა. მალე ხოჭოლავამ დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა მოსკოველთა კარისკენ. ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მოედანს, აქ კოტრიკაძემ დაასწრო მცველებს, მეკარესა და მოსკოველთა კარში გატანილ იქნა მეორე ბურთი.

ჩემპიონის ყოველი ცდა, გაეთანაბრებინა ანგარიში დარჩენილ დროში, უნაყოფო გამოდგა. თბილისელებს მტკიცედ ეპყრათ ხელთ ინიციატივა და ბოლო წუთამდე უტევდნენ მოწინააღმდეგეს. უაღრესად საინტერესო, დაძაბული თამაში მოიგო თბილისის “დინამომ” ანგარიშით 2:1.

ასევე მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა, რომელიც დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

ბ. ქორქია.
27 მარტი, 1955 წ.